საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №- 01 - 08/184

ქ. ბათუმი 28 --- დეკემბერი, 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის № 36 დადგენილების, ბსუ-ს 2019 წლის ბიუჯეტის და რექტორის მოადგილის 2018 წლის 27 დეკემბრის (1667323) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, **2019 წლის 15 თებერვლიდან 2019 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით** განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდეს შემდეგ მიმართულებებში:
   - 1.1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
   - 1.2. ინჟინერია, ტექნოლოგიები და აგრარული მეცნიერებები;
   - 1.3. ეკონომიკა და ბიზნესი;
   - 1.4. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
   - 1.5. სოციალური მეცნიერებები;
   - 1.6. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
   - 1.7. ინტერდისციპლინური კვლევები;

2. 2019 წლისათვის დასაფინანსებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საერთო ღირებულება განისაზღვროს **210 000 ლარის** ოდენობით, მათ შორის:

   ა) თითოეული მიმართულებით (1.1.-1.7.) დასაფინანსებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **20 000 ლარს;**

   ბ) თითოეული მიმართულებით (1.1.-1.7.) **ახალგაზრდა მკვლევართა** (პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო შვიდი წლის პერიოდში) მიერ წარმოდგენილი პროექტის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **10 000 ლარს.**

3. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით **2019 წლის 14 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით.**
4. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

   ა) განცხადება (თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილი, **დანართი №1**)

   ბ) სამეცნიერო - კვლევითი პროექტის აღწერილობა (თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილი, **დანართი №2);**

   გ) პროექტის ბიუჯეტი შესაბამისი კალენდარული გეგმით (თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილი, **დანართი №3);**

   დ) პროექტში მონაწილეთა (პერსონალის) სია და მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოთა აღწერილობა;

   ე) პროექტში მონაწილეთა (პერსონალის) CV-ები;

   ვ) ცნობა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შესახებ, სასწავლო ბარათის ასლი და საშუალო შეწონილი ქულა (პროექტში მონაწილე სტუდენტთათვის);

   ზ) წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ (თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილი (**დანართი №4).**
5. ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია (გარდა „ა" და ,,დ" ქვეპუნქტისა) წარმოდგენილი უნდა იქნეს დალუქული კონვერტით.
6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები" და ,,ბსუ-ს სამართლებრივი აქტები).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.

ბსუ-ს რექტორს

_____

(მიუთითეთ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ ----------
------- დარგობრივი მიმართულებით მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტს------
---

ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მოპოვების მიზნით.

განცხადებას თან ერთვის:

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა – – გვ.
2. პროექტის ბიუჯეტი - გვ.
3. პროექტში მონაწილეთა (პერსონალის) სია და მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოთა აღწერილობა;
4. პროექტში მონაწილეთა (პერსონალის) CV-ები,
5. პროექტში მონაწილე სტუდენტებთან დაკავშირებით ცნობები სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათის ასლები (გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ) – – გვ.
6. მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობაზე თანხმობის წერილი --- გვ.

_____

(ხელმოწერა)

ტელეფონის ნომერი: _____
თარიღი: – –/ – –/---------- წ.

დანართი 2

ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა

პროექტის დასახელება:
პროექტის ხანგრძლივობა:
პროექტის ხელმძღვანელი:

1.1. საკვლევი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება

პროექტის/კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; პროექტის მნიშვნელობისა და აქტუალობის დასაბუთება; პროექტში განსახორციელებელი ამოცანების მეცნიერული სიახლის აღწერა; პრობლემის ფორმულირება და სხვ.

1.2. კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზნები და ამოცანები; პროექტის საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანების და ეტაპების ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა, მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით და სხვ.

1.3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაშიგამოსაყენებელიმეთოდოლოგია; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; პროექტის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები და მათი გადაწყვეტის გზები და სხვ.

1.4. *კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და კვლევის შედეგების გავრცელების პერსპექტივა*

პროექტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება ქვეყნისთვის, კონკრეტული რეგიონისთვის, დარგისათვის; პროექტის დასრულების შემდეგ დაწყებული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა.

1.5. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ნიმუში 1 წელზე)

ამოცანის დასახელება	შესაბამისი აქტივობა	შესრულების პერიოდი												შედეგები	შემსრულებლები
		I იანვარი	II თებერვალი	III მარტი	IV აპრილი	V მაისი	VI ივნისი	VII ივლისი	VII აგვისტო	IX სექტემბერი	X ოქტომბერი	XI ნოემბერი	XII დეკემბერი		

შენიშვნა: დაგეგმილი ამოცანების და აქტივობების გასწვრივ „შესრულების ვადაში" თქვენ მიერ დაგეგმილი შესრულების თვე/თვეების გრაფებში გააფერადეთ ან აღნიშნეთ +

დანართი 3.

პროექტის ბიუჯეტი

ხარჯვის კატეგორია	პროექტის განხორციელების პერიოდი												ჯამური ღირებულება
პროექტის მონაწილეთა შრომის ანაზღაურება	I იანვარი	II თებერვალი	III მარტი	IV აპრილი	V მაისი	VI ივნისი	VII ივლისი	VIII აგვისტო	IX სექტემბერი	X ოქტომბერი	XI ნოემბერი	XII დეკემბერი	
სახელი, გვარი													
მივლინება													
საქონელი და მომსახურება													
ძირითადი აქტივები													
ჯამი													

დანართი 4.

მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობაზე
თანხმობის წერილი

თანახმა ვართ მონაწილეობა მივიღოთ ---------- ---------- დარგობრივი მიმართულებით მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევაში, რომელიც წარმოდგენილია ———————————— ხელმძღვანელობით.

პროექტში ჩასართავი პერსონალი (ძირითადი და დამხმარე):

№	სახელი და გვარი	დაკავებული თანამდებობა	პოზიცია პროექტში (პროექტის მიხედვით შესასრულებელი ფუნქცია (მოვალეობა)	ხელმოწერა
1.				
2.				

პროექტში ჩასართავი სტუდენტები:

№	სახელი და გვარი	ფაკულტეტი, სწავლების საფეხური, სასწავლო წელი და აკადემიური მოსწრება	პროექტის მიხედვით შესასრულებელი ფუნქცია (მოვალეობა)	ხელმოწერა
1.				
2.				
3.				

თარიღი: – –/ – –/----------წ.